№421 2016 წლის 9 მარტი ქ. თბილისი

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსთვის გამონაკლისის დაშვების თაობაზე

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოზე არ გავრცელდეს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მიეცეს თანხმობა, რომ 2016 წელს შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განსაზღვროს 8 ერთეულით, რომელთაგანაც:

ა) 5 შტატგარეშე მომუშავის შრომის ანაზღაურება განხორციელდეს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

სამინისტროს სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან;

ბ) 3 შტატგარეშე მომუშავის შრომის ანაზღაურების დაფინანსება განხორციელდეს სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსა და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელ ორგანოს შორის გაფორმებული საგრანტო შეთანხმების - „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მხარდაჭერა კომპეტენციის გაღრმავებასა და რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებაში“ - ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**